გადაწყვეტილება

N გ-22-17/365
18/08/2022

365-გ-22-1-4-202208181056

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2022 წლის №36 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომუნიკაციების კომისია") განიხილა კომისიის 2022 წლის 18 აგვისტოს N36 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 18 აგვისტოს N36 სხდომის დღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქნეს 2 (ორი) საკითხი:
ა) რადიომოყვარულ აკაკი მაღლაკელიძესთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების შესახებ (მომხს. მაია ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტი, ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფი);
ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის არაავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. მაია ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტი, ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფი).
2. ამოღებულ იქნეს კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 18 აგვისტოს N36 სხდომის დღის წესრიგის პროექტის მე-9 (სს „სილქნეტისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე), მე-10 (შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე) და მე-11 (შპს „ახალი ქსელებისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე) საკითხები;
3. კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 18 აგვისტოს N36 სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (თან ერთვის);
4. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე



წევრი

ივანე მახარაძე



წევრი